AW1 ანალიტიკური წერა

სამუშაოდ გეძლევათ 70 წთ.

გაითვალისწინეთ: ამ ფურცლებზე შესრულებული ნაწერები არ მოწმდება. თქვენი ნაშრომი შეფასდება მხოლოდ პასუხების ფურცლის მიხედვით.

დავალება I – თემა მოცემულ საკითხზე

– „კინოფილმები თუ გიყვართ?
– არა, გონებაზე მეტად თვალს ახარებს.“
გურამ დოჩანაშვილი, „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“

რამდენად მართებულია ლიტერატურულ შედევრთა ეკრანიზაცია?

გამოთქვით თქვენი აზრი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით; ახსენით თქვენი პოზიცია, საკუთარი აზრის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

შავი სამუშაოსთვის

დავალება II – მსჯელობის ანალიზი

N ქალაქში მუსიკის მოყვარულთა კლუბი გაიხსნა. კლიენტების ინტერესთა გათვალისწინების მიზნით, ახალი კლუბის მფლობელებმა ჩაატარეს გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ამ ქალაქის მაცხოვრებლები უპირატესობას ჯაზურ მუსიკას ანიჭებენ. მეორე მხრივ, ქალაქის ყველაზე რეიტინგული რადიოარხის მუსიკალური პროგრამების ანალიზის შედეგად მათ გაარკვიეს, რომ არხი, ძირითადად, თანამედროვე საესტრადო მუსიკას გადმოსცემს, ხოლო ჯაზს მხოლოდ ღამის საათებს უთმობს.

საბოლოოდ, კლუბის მფლობელებმა გადაწყვიტეს, გაეთვალისწინებინათ პოპულარული რადიოარხის მუსიკალური რეპერტუარის სპეციფიკა; მათ მიიჩნიეს, რომ კლიენტთა მისაზიდად უმჯობესია, ახლად გახსნილ კლუბში თანამედროვე საესტრადო მელოდიები შესრულდეს.

შეაფასეთ, რამდენად მართებულია კლუბის მფლობელთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება და პრობლემის გადაჭრის გზა. განსაზღვრეთ, რამდენად დამაჯერებელი და საკმარისია ტექსტში წარმოდგენილი ინფორმაცია ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

შავი სამუშაოსთვის